დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის 23 ოქტომბერი, 2013

დამატებით ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
თამარა სართანია tsartania@ndi.org, +995 595921393
ქეთი გესტი kgest@ndi.org, +995 577104094

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია საპრეზიდენტო არჩევნებს დააკვირდება

თბილისი – დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საქართველოში 27 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ განაცხადა. მისიაში მონაწილობას მიიღებენ პოლიტიკოსები და სამოქალაქო ლიდერები, საარჩევნო ექპერტები და რეგიონის სპეციალისტები.

დელეგაციას ხელმძღვანელობენ: აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ყოფილი წევრი კონეკტიკუტის შტატიდან და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სემ გეჯდენსონი; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ყოფილი ელჩი პერ ეკლუნდი შვედეთიდან; და საქართველოში აშშ–ის ყოფილი ელჩი კენეთ იალოვიცი. პერ ეკლუნდი ასევე იყო საქართველოში NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციის წევრი ამა წლის სექტემბერში, და სემ გეჯდენსონთან ერთად წარმოადგენდა NDI–ის საერთაშორისო მისიას გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაციის მიზანი საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირებაა. NDI საქართველოში 1994 წლიდან მუშაობს და პარლამენტის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უჭერს მხარს.

თბილისში დელეგაციის წევრები საპრეზიდენტო კანდიდატებს, მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებს, ასევე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდებიან. დელეგაცია ასევე მხედველობაში მიიღებს წინა მისიების დაკვირვებებს.

თბილისში ჩატარებული საორიენტაციო შეხვედრების შემდეგ დამკვირვებლები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გაემგზავრებიან, სადაც ისინი საარჩევნო გარემოს

შესაფასებლად ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებს, ასევე ადგილობრივ დამკვირვებლებს შეხვდებიან. არჩევნების დღეს NDI-ს დამკვირვებლები შესაბამის ოლქებში საარჩევნო უბნებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას დააკვირდებიან, რის შემდეგაც დაკვირვებების შესაჯამებლად თბილისში შეიკრიბებიან და არჩევნების დღეზე დაკვირვების წინასწარ ანგარიშს მოამზადებენ. დელეგაციის წინასწარი ანგარიში პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნდება, რომელიც, სავარაუდოდ, 28 ოქტომბერს გაიმართება.

NDI-ის სადამკვირვებლო მისია საქმიანობას მიუკერძოებლად, პროფესიონალურად და საქართველოს კანონმდებლობისა და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად განახორციელებს. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში NDI ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებთან და საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციებთან მჭიდროდ ითანამშრომლებს. სადამკვირვებლო დელეგაციას აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისთვის მსოფლიოში.

NDI –ის და მისი პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ–გვერდს www.ndi.org.

###